საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატე“

თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატე“, სამედიცინო პროფილის სასწავლო უნივერსიტეტი. დაარსდა 2002, ლიცენზირებული და აკრედიტებულია საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს მიერ, მინიჭებული აქვს სახელმწ. დიპლომის გაცემის უფლება.

უნ-ტს აქვს ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და რეზიდენტურა. უნ-ტის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ, სტაჟირება გაიარონ რუსეთისა და გერმანიის წამყვან კლინიკებში. აქვს აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი.

თ.ს.ს.უ. „ჰ”-ში ფუნქციონირებს ჯანდაცვის მიმართულებების: მედიცინის ფაკ-ტი (სამკურნალო საქმის სპეციალობით), სტომატოლოგიის ფაკ-ტი (სტომატოლოგის სპეციალობით) და ფარმაციის ფაკ-ტი (ფარმაციის სპეციალობით).

ჯანდაცვის მიმართულების მედ. ფაკ-ტის დიპლომირებული ექიმის საგანმან. პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან უმაღლეს სამედ. განათლებას, სწავლება 6-წლიანია. კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული ექიმის აკად. ხარისხი. მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს უფლებას მისცემს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (რეზიდენტურა, დოქტორანტურა).

ჯანდაცვის მიმართულების სტომატოლოგიის ფაკ-ტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმან. პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან უმაღლეს სამედ. განათლებას. პროგრამის

დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული სტომატოლოგის აკად. ხარისხი. მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს უფლებას მისცემს, სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (რეზიდენტურა, დოქტორანტურა).

ჯანდაცვის მიმართულების ფარმაციის ფაკ-ტის (სპეციალობა ფარმაცია) საბაკალავრო პროგრამის, ფარმაცია, დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია – ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში. კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს ნებისმიერი ტიპის ფარმაცევტულ დაწესებულებაში (აფთიაქი, სააფთიაქო ლაბორატორია, ფარმაცევტული საწარმო) რიგით ფარმაცევტად. საბაკალავრო პროგრამის დასრულება სტუდენტს საშუალებას მისცემს განაგრძოს სწავლა განათლების შემდგომ ეტაპზე – მა-გისტრატურაში, რ-ის დასრულების შემდეგ მას უფლება ექნება იმუშაოს წამყვან ფარმაცევტად, ფარმაცევტული განყ-ბის, საამქროს, ბაზის, საწარმოს ხელმძღვანელად, ფარმაცევტული ფირმის წარმომადგენლად, დისტრიბუტორად და ა. შ. სტუდენტს საშუალება აქვს განაგრძოს სწავლა განათლების შემდგომ ეტაპზე მაგისტრატურაში – სამაგისტრო პროგრამაზე „ფარმაციის მენეჯმენტი".

თ.ს.ს.უ. „ჰ"-ს მატერ.-ტექ. ბაზას წარმოადგენს კეთილმოწყობილი სასწ. კორპუსი, სათანა-დოდ აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებით და აუდიტორიებით, საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრით, ინტერნეტით და კომპიუტერული სასწ. ლაბორატორიით, მდიდარი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, თანამედროვე სასწ. წიგნადი ფონდით, ვიდეო-აუდიოთეკით. უნ-ტს აქვს სასწ. და კლინ. ბაზები (სამედ. კლინიკა), აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით და სასწ. თვალსაჩინოებებით (პრეპარატები, სლაიდები, ატლასე-ბი და სხვ.), სპორტული დარბაზით.